# დისტანციური კომუნიკაცია შემოსავლების სამსახურთან

შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული ელექტრონული გვერდი დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს საკუთარი საქმიანობა და შემოსავლების სამსახურთან კომუნიკაცია წარმართოს დისტანციურად სახლიდან ან/და ოფისიდან გაუსვლელად.

შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული გვერდის ელექტრონული მოდული „განცხადებები“ აერთიანებს 400-ზე მეტ სხვადასხვა ტიპის განცხადების ფორმას, რომლითაც გაქვთ პასუხის სწრაფად და მარტივად მიღების შესაძლებლობა.

## განცხადების რეგისტრაციისათვის მიყევით შემდეგ ნაბიჯებს:

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე გაიარეთ ავტორიზაცია თქვენი მომხმარებლის და პაროლის მითითებით.



## დააჭირეთ ღილაკს „აპლიკაციების მენიუ"




## მოძებნეთ ჩანართი „დოკუმენტაცია" და დააჭირეთ აპლიკაციას „განცხადებები"



## დააჭირეთ ღილაკს „ახალი განცხადების რეგისტრაცია“




გამოტანილ ფანჯარაში, საძიებო ველში ჩაწერეთ თქვენთვის სასურველი განცხადების დასახელება სიტყვის ან ფრაზის გამოყენებით, რის შემდეგაც სისტემა გამოიტანს შესაბამის განცხადების ელექტრონულ ფორმას.




სასურველი განცხადების არჩევის შემდეგ შეავსეთ განცხადების ფორმაზე განთავსებული გრაფები და დააჭირეთ ღილაკს გაგზავნა.

ურთიერთობის გამარტივებისთვის დამატებით გთავაზობთ შესაძლებლობას, თუ თქვენთვის მისაღები ინფორმაციის შინაარსი განსხვავდება მოდულ „განცხადებებში“ არსებული განცხადებების შინაარსისგან ისარგებლოთ ავტორიზებული გვერდის მოდულით - „კომუნიკატორი“.

კომუნიკატორით სარგებლობისთვის თქვენი ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან აირჩიეთ მოდული „კომუნიკატორი“ და მოახდინეთ სასურველი წერილის გაგზავნა.






**გაითვალისწინეთ,** შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე ელექტრონულად წარმოდგენილ განცხადებას და ამის საფუძველზე ელექტრონულადვე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს გააჩნია ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობით დოკუმენტს (მიუხედავად იმისა, რომ მას არ ახლავს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი).

## შემოსავლების სამსახური გისურვებთ წარმატებას!

### იხილეთ დამატებითი ინფორმაცია

ელექტრონულ გვერდზე ავტორიზაცია და პირადი მონაცემების ცვლილება
https://www.youtube.com/watch?v=cnY9TmFd-G0

დისტანციურად განცხადების წარდგენის ინსტრუქცია
https://www.youtube.com/watch?v=H0lBlpST9rQ&t=2s

ელექტრონული განცხადებების ფორმები
https://www.rs.ge/ApplicationForms